# ქართული

3(22) 2009
მაისი-ივნისი



ქართული მარტო ენაა?
ქართული ქართველთ რწმენაა!
ღმერთია, ზედისწერაა,
ზღვა როა, იმოდენაა!

**გერმანიის ქართული სათვისტომოს ორგანო**

# ქართული გერმანია

*წინამდებარე სტატიები წარმოადგენენ მასალას ლექსიკონისთვის, რომელშიც თავმოყრილი იქნება ცნობები გერმანიაში სხვადასხვა დროს მოღვაწე ქართველებზე და მათ საქმიანობაზე.*

*თამაზ მჭედლიძე,*
*ქ. ფულდა*

**Orden der heiligen Tamara** (წმინდა თამარ მეფის ორდენი) — დაფუძნებულია 1915 წ. საქართველოს ემიგრანტულ მთავრობის მიერ ბერლინში. დაჯილდოვება ხდებოდა 1916–1918 წწ. ჯილდოვდებოდნენ გერმანიის არმიის ქართული ლეგიონის მეომრები. ორდენს ჰქონდა სამი ხარისხი: 1-ლი ხარისხის თეთრი ან ლურჯი ფერის მინანქრით, მე-2 — შავი ფერის მინანქრით ორდენის შუაგულში, მე-3 კი იყო უმინანქრო. ორდენის ბაფთი იყო მუქი წითელი ფერის შავი გასწვრივი პატარა ხაზებით. ორდენით დაჯილდოვებული იყო გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი საქართველოში ფრიდრიხ შულენბურგი.



წმინდა თამარ მეფის I ხარისხის ორდენი



წმინდა თამარ მეფის II ხარისხის ორდენი



წმინდა თამარ მეფის III ხარისხის ორდენი



თამარ მეფის ორდენის ბაფთი



Urkunde.

*წმინდა თამარ მეფის ორდენით დაჯილდოვების საბუთი, გაცემული საქართველოს სამხედრო სამინისტროს მიერ 1918 წლის 13 დეკემბერს (ბრძანება № 5352). ხელს აწერს ვიცე-პოლკოვნიკი ფრაძხერ ფონ დერ გოლტცი*

**Schulenburg Friedrich-Werner Graf von der** (შულენბურგი ფრიდრიხ ვერნერ გრაფი ფონ დერ, 1875–1944 წწ.) — გერმანელი დიპლომატი, სამხედრო მოღვაწე. 1911–1914 წწ. გერმანიის კონსული თბილისში. 1915 წ. თურქეთის ქ. სამსუნში ქართული ლეგიონის შემქმნელი და პირველი მეთაური. ლეგიონი შესდგებოდა ქართველი მოხალისეებისგან, რომლებიც იბრძოდნენ რუსეთის წინააღმდეგ პირველი მსოფლიო ომის დროს. 1918 წ. გერმანული დელეგაციის შემადგენლობაში იღებდა მონაწილეობას მოლაპარაკებებში საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მთავრობასთან; შეიტანა დიდი წვლილი ქართულ-გერმანული ხელშეკრულების მომზადებაში, რომლითაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა იქნა ცნობილი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ. 1918 წ. გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი დამოუკიდებელ საქართველოში. დაჯილდოვებულია წმინდა თამარ მეფის ორდენით.



*ფრიდრიხ შულენბურგი. თბილისი, 1918 წ. რკინის ჯვრის ორდენის ქვევით მოჩანს წმინდა თამარ მეფის ორდენი*

**Georgische Legion** (ქართული ლეგიონი) — სამხედრო შენაერთი, რომელიც 1915 წ. თურქეთის ქალაქ სამსუნში ჩამოაყალიბა გერმანიის არმიის კაპიტანმა ფრიდრიხ-ვერნერ ფონ დერ შულენბურგმა. მასში გაერთიანდებული იყო 1500 ჯარისკაცი. საწყის ეტაპზე ლეგიონს მეთაურობდა გერმანელი ლეიტენანტი ჰორსტ შლიფაკი, რომელიც შემდგომ შეცვალა უმაღლესი ჩინის ქართველმა ოფიცერმა გენერალ-მაიორმა ლეო კერესელიძემ. რუსეთ–ოსმალეთის ომის დროს ქართული ლეგიონი განლაგებული იყო ტირებოლუს მთის აღმოსავლეთით მდინარე ჰარშიტის სანაპიროსთან, უშუალოდ შავი ზღვის მახლობლად. გერმანიის მთავრობა მიზნად ისახავდა ლეგიონის საქართველოში გადატყორცნას იმ შემთხვევაში, თუ ანტირუსული მოძრაობები საქართველოში გამძაფრდებოდა. საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტსა და თურქეთის მთავრობას შორის წამოჭრილი კონფლიქტების გამო 1917 წ. ქართული ლეგიონი დაიშალა. მაგრამ ლეგიონის ქართველმა ოფიცრებმა ლ. კერესელიძის მეთაურობით საფუძველი ჩაუყარეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული ჯარის შექმნას.



*წმინდა თამარ მეფის ორდენების შუაგული წარწერით «ქართული ლეგიონი 1915»*

მე–2 მსოფლიო ომის დროს ქართული ლეგიონი იქნა შექმნილი ხელახლად 1941 წ. პოლონეთის ქალაქ რადომში; მასში ირიცხებოდა 12000 მეომარი, განაწილებული 12 ბატალიონში. ლეგიონს მეთაურობდა გენერალ–მაიორი შალვა მაღლაკელიძე, თბილისის გენერალ–გუბერნატორი 1919–1920 წწ. ქართული ლეგიონის გარდა ქართველები იბრძოდნენ ვერმახტის სხვა ნაწილებში (განსაკუთრებული შენაერთი „ბერგმანი“, ქართული SS ჯგუფი მიხეილ–ფრიდონ წულუკიძის მეთაურობით, დივერსიული ჯგუფები და ა. შ.); ვერმახტის ქართველი მეომრების საერთო რაოდენობა — 30000.



*ქართული ლეგიონის ოცისთავი. 1942 წ.*

**Komitee für die Unabhängigkeit Georgiens** (საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი) — პოლიტიკური გაერთიანება, შექმნილი 1914 წ. გერმანიაში ქართველი ემიგრანტების და სტუდენტების მიერ, რომელიც ისახავდა მიზნად რუსული ბატონობის მოსპობას და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას; კომიტეტის პირველი თავჯდომარე პეტრე სურგულაძე, შემდეგ მიხეილ წერეთელი; კომიტეტის წევრები იყვნენ თავადი გიორგი მაჩაბელი, ლეო კერესელიძე, გიორგი კერესელიძე, მელიტონ ქარცივაძე; კომიტეტს აფინანსებდა გერმანიის გენერალური შტაბი; კომიტეტის განყოფილებები არსებობდა ავსტრო–უნგრეთში და თურქეთში; ომის დროს კომიტეტის შტაბ–ბინა მდებარეობდა თურქეთის ქალაქ სამსუნში, შემდეგ კი გადავიდა გირესუნში; 1915 წ. კომიტეტმა მიიღო მონაწილეობა ქართული ლეგიონის შექმნაში, რომლის მეთაურად დაინიშნა გენერალ–მაიორი ლეო კერესელიძე.


ქართული
5(24) 2009
სექტემბერი-ოქტომბერი
ქართული მარტო ენაა?
ქართული ქართველთ რწმენაა!
ღმერთია, ზედისწერაა,
ზღვა როა, იმოდენაა!
გერმანიის ქართული სათვისტომოს ორგანო

# Ⴕართული Ⴂერმანია



**Ⴇამაზ Ⴙქედლიძე**

*Ⴂაგრძელება. Ⴃასაწყისი: „Ⴕართული“, № 3 (22), 2009.*

**GEORGISCHES KOMITEE WEIßER GEORG** (Ⴕართული კომიტეტი Ⴇეთრი Ⴂიორგი) — შეიქმნა Ⴂერმანიაში 1924 წ. ქართველი ემიგრანტების მიერ: Ⴋიხეილ Ⴜერეთელი, Ⴊეო Ⴉერესელიძე, Ⴘალვა Ⴋაღლაკელიძე, Ⴀლექსანდრე Ⴋანველიშვილი, Ⴂრიგოლ Ⴐობაქიძე, Ⴅიქტორ Ⴌოზაძე, Ⴉალისტრატე Ⴑალია; 1926 წ. Ⴇბილისში შეიქმნა Ⴇეთრი Ⴂიორგის კომიტეტის იატაკქვეშა გაშტოება; 1937 წ. Ⴘინსახკომმა დააპატიმრა Ⴇბილისის განყოფილების მეთაური Ⴄვგენი Ⴂვალაძე, რომელიც დახვრიტეს 25 ოქტომბერს; მე–2 Ⴋსოფლიო ომის დროს კომიტეტი აქტიურად თანამშრომლობდა გერმანულ ვერმახტთან და ეხმარებოდა მას ჯარისკაცების გაწვევაში Ⴕართულ Ⴊეგიონისთვის.

**MAGLAKELIDZE SCHALWA** (Ⴋაღლაკელიძე Ⴘალვა, 1893 — 1970 წწ.) — ქართველი პოლიტიკოსი, ვერმახტის Ⴕართული Ⴊეგიონის მეთაური, ფილოსოფიის დოქტორი იურისპრუდენციაში; დაამთავრა Ⴁერლინის უნივერსიტეტი; 1919-1920 წწ. Ⴇბილისის გენერალ-გებერნატორი; Ⴐუსეთის მიერ საქართველოს Ⴃემოკრატიული Ⴐესპუბლიკის დაპყრობის შემდეგ იმყოფებოდა ემიგრაციაში; 1929 წ. Ⴂიორგი Ⴗვანგირაძესთან ერთად Ⴐიგაში ჩამოაყალიბა საზოგადოება ”Ⴈვერია”; იყო მთავარი დამფუძნებელი და პირველი ხელმძღვანელი Ⴂერმანიაში დაარსებული Ⴇეთრი Ⴂიორგის ორგანიზაციის (1925-1945 წწ.) და Ⴕართველ Ⴒრადიციონალისტთა Ⴉავშირის (1942 წ.); მე–2 Ⴋსოფლიო ომის დროს მსახურობდა ვერმახტში და მეთაურობდა Ⴕართულ Ⴊეგიონს, რომელიც ჩამოყალიბდა საბჭოთა Ⴉავშირთან საბრძოლველად და საქართველოს დამოუკიდებლობის აღსადგენად; 1944 წ. მას მიენიჭა ვერმახტის გენერალ-მაჲორის წოდება; ომის შემდეგ ცხოვრობდა და მოღვაწეობდა Ⴃასავლეთ Ⴂერმანიაში; 1949-54 წწ. მსახურობდა Ⴉონრად Ⴀდენაუერის სამხედრო მრჩევლად; 1954 წ. 26 იანვარს Ⴋიუნხენში დააფუძნა ორგანიზაცია ”Ⴑაზღვარგარეთ ქართველ მეომართა Ⴉავშირი”; იმავე წლის აგვისტოში იგი შეიპყრეს საბჭოთა ႱႳႩ-ის აგენტებმა; სიცოცხლის მომდევნო წლები გაატარა პატიმრობაში.



*Ⴕართული Ⴊეგიონის მეთაური Ⴘალვა Ⴋაღლაკელიძე*

## Ⴅერმახტის Ⴕართული Ⴊეგიონის განმასხვავებელი ნიშნები

### სამხრეები და საკილოები

*Ⴂენერლები*



*Ⴂენ.-მაჲორი* *Ⴂენ.-ლეჲტენანტი* *Ⴂენერალი*

*Ⴓფროსი ოფიცრები*

*1-ლი ვარიენტი* *მე-2 ვარ.*



*Ⴋაჲორი* *Ⴅიცე-პოლკ.* *Ⴎოლკოვნიკი* *Ⴋაჲორი*

*Ⴓმცროსი ოფიცრები*

*1-ლი ვარიენტი*



*Ⴊეჲტენანტი* *Ⴓფრ.ლეჲტენანტი* *Ⴉაპიტანი*

*მე-2 ვარიენტი*



*Ⴊეჲტენანტი* *Ⴓფრ.ლეჲტენანტი* *Ⴉაპიტანი*

*Ⴐიგითები*



*Ⴐიგითი* *Ⴓფრ. რიგითი* *Ⴄფრეჲტორი*

*Ⴐიგითები*



*Ⴓფრ. ეფრეჲტ.* *Ⴔელდფებელი* *Ⴘტაბს-ფელდფებ.*

### სამკლაურები, საკილო და კოკარდი





*სამკლაური*





*სამკლაური*



*Ⴕართული SS ნაწილის საკილო*



*Ⴉოკარდი*

## Ⴅერმახტის Ⴕართული Ⴊეგიონის შემადგენლობა

795-ე ქვ. ბატ. **„Ⴘალვა Ⴋაღლაკელიძე“**
796-ე ქვ. ბატ.
797-ე ქვ. ბატ.ი **„Ⴂიორგი სააკაძე“**
798-ე ქვ. ბატ. **„Ⴋეფე Ⴄრეკლე II“**
799-ე ქვ. ბატ. **„Ⴃავით Ⴀღმაშენებელი“**
822-ე ქვ. ბატ. **„Ⴇამარ Ⴋეფე“**
823-ე ქვ. ბატ. **„Ⴘოთა Ⴐუსთაველი“**
824-ე ქვ. ბატ. **„Ⴈლია Ⴝავჭავაძე“**
I/1 სამთო-მსროლელი ბატ.
I/9 ქვ. ბატ.
II/4 სამთო-მსროლელი ბატ.
II/125 სასწავლო ბატ.
II/198 ქვეითი ბატ.
III/9 სასწავლო ბატ.
**”Ⴁერგმანის”** №1 ქართული ბატ.
Ⴕართული **SS ჯგუფი**
Ⴃივერსიული ჯგუფი **„Ⴇამარ I“**
Ⴃივერსიული ჯგუფი **„Ⴇამარ II”**

## ვერმახტის ქართული ლეგიონის საბრძოლო გზა

**795-ე ქვ. ბატალიონი „შალვა მაღლაკელიძე“**

1942 წ.: ნალჩიკის მიმართულება, ბაქსანის და ურუხის ხეობები ოსეთში.
1944 წ.: შერბურთან (საფრანგეთი) მოიგერია და უკუაგდო აშშ-ს დესანტი.

**796-ე ქვ. ბატალიონი**

1942/43 წწ.: იბრძოდა ტუაფსეს მისადგომებთან. დაშალეს კაპიტან სიჭინაძის და რამდენიმე ათეული ჯარისკაცის რუსების მხარეზე გადასვლის გამო.

**797-ე ქვ. ბატალიონი „გიორგი სააკაძე“**

1943/44 წწ.: გრენევილში (საფრანგეთი) 709-ე გერმანული დივიზიის შემადგენლობაში.

**798-ე ქვ. ბატალიონი „მეფე ერეკლე II“**

1943/44 წწ.: სენ ნაზერი (საფრანგეთი) 384-ე გერმანული დივიზიის შემადგენლობაში.

**799-ე ქვ. ბატალიონი „დავით აღმაშენებელი**

1943-45 წწ.: მოქმედებდა საფრანგეთის ცენტრალურ რაიონებში.

**822-ე ქვ. ბატალიონი „თამარ მეფე“**

1944/45 წწ.: ლიონთან (საფრანგეთი) 344-ე გერმანული დივიზიის დაქვემდებარებაში. ომის ბოლოს დისლოცირებული იყო კუნძულ ტექსელზე (ჰოლანდია), სადაც მოაწყო აჯანყება, რომელიც გრძელდებოდა 1945 წლის 22 მაისამდე და ცნობილია „ევროპის უკანასკნელი ბრძოლის“ სახელით.

**823-ე ქვ. ბატალიონი „შოთა რუსთაველი“**

1945 წ.: იცავდა ლა-მანშს კუნძულ გერნსიზე.

**824-ე ქვ. ბატალიონი „ილია ჭავჭავაძე“**

1944 წ.: იბრძოდა ლვოვის მისადგომებთან გერმანული 349-ე დივიზიის შემადგენლობაში.

**II/4 სამთო-მსრ. ბატალიონი**

1942/43 წწ.: ჩრდილოეთ კავკასია, ყირიმი. ომის ბოლოს საფრანგეთში.

**I/9 ქვ. ბატალიონი**

1942/43 წწ.: ჩრდილოეთ კავკასია, ყირიმი. ომის ბოლოს საფრანგეთში.

**II/198 ქვ. ბატალიონი**

1943 წ.: 198-ე გერმანული დივიზიის შემადგენლობაში წარმატებით იბრძოდა კურსკთან, ხარკოვის მიდამოებში და დნეპრზე.
1945 წ.: იბრძოდა ჩრდილოეთ იტალიაში პარტიზანების წინააღმდეგ SS-ის II სატანკო კორპუსის შემადგენლობაში.

**სადაზვერვო ბატალიონი „ბერგმანი“**

1942/43 წწ.: დივერსიები ჩრდილო კავკასიაში, ანტიპარტიზანული ბრძოლები ყირიმში.

**ქართული SS ჯგუფი**

1944/45 წწ.: ჩრდილოეთი იტალია



# ლუდის კულტურა საქართველოში

ისტორიული მონაცემების თანახმად, კაცობრიობას ლუდის ხარშვის 8000 წლის გამოცდილება აქვს. არსებობს ლუდის წარმოშობის სხვადასხვა ვერსია. ანთროპოლოგთა გარკვეული ნაწილი ამტკიცებს, რომ ლუდის სამშობლო ეგვიპტე და შუამდინარეთია. ერთ-ერთი ლეგენდის მიხედვით, გულმავიწყ პურის მცხობელს მზეზე დარჩა პურის ცომი. ცომი ცოტა ხანში იქცა თხევად მასად. დარცხვენილმა მცხობელმა გასინჯა უცნაური სითხე და მოეწონა. ასე გაჩნდა ლუდი.

ლუდი ეგვიპტედან ეთიოპიაში, სპარსეთში და კავკასიაში გავრცელდა. ინდოევროპული ერებიდან პირველებმა ლუდი თრაკიელებმა და ფრიგიელებმა მოხარშეს. ცნობილია, რომ არისტოტელეს დროსაც კი, ჩრდილო და ცენტრალურ ევროპაში ხარშავდნენ ლუდს. გაიუს პლინიუსი (62-114 წ.წ) აღწერს 115 სახეობის ლუდს. დაახლოებით ამ პერიოდში ამზადებდნენ ლუდს გერმანელები. არსებობს მოსაზრება, რომ გერმანელებმა ლუდის დამზადება ფინიკიელებისგან ისწავლეს. ხოლო, გერმანიიდან